საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ფერო ელოის ფროდაქშენი"-ს დირექტორი
გიორგი ლეჟავას
ტელ: 599 37-34-37;
ni.lezhava@gmail.com

განცხადება

შპს **„ფერო ელოის ფროდაქშენი"** წარმოადგენს შპს „ნიკა 2004"-ს სამართალმემკვიდრეს, რომელსაც გააჩნიათ ერთიდაიგივე საინდეფიკაციო ნომერი (216302150).

აღნიშნულ საწარმოს. **ქალაქ რუსთავში, მარის არხის III დასახლება, ს/კ 02.07.02.516,** გააჩნია ფეროშენადნობთა ქარხანა, რომლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი იდენტური ფეროშენადნობების ნადნობის ღუმელები, რომელთა ჯამური წარმადობაა 24 ტ/დღე-ღამეში, ანუ წლიური 7920 ტონა ფეროშენადნობების წარმოება. საწარმოში ასევე მიმდინარეობს მონტაჟი ერთი 23 ტ/დღე-ღამეში) ღუმელის, რომლის წლიური წარმადობა ტოლი იქნება 7590 ტონის. ანუ დღიური ჯამური წარმადობა იქნება 47 ტ/დღე-ღამეში ანუ 15510 ტ/წელ. ზემოთ აღნიშნულ ღუმელების ფუნქციონირებაზე საწარმოს გააჩნია შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

საწარმოს ტერიტორიაზე ასევე ფუნქციონირებდა კირქვისა (ფილერი) და კლინკერის დაფქვის წისქვილი. აღნიშნული საქმიანობები 2018 წლამდე არ განეკუთვნებოდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის დაქვემდებარებულ საქმიანობებს. კირქვისა და კლინკერის დაფქვა ხორციელდებოდა ერთსა და იგივე დანადგარში. კირქვის დაფქვა წლიწადში განხორციელდება 4 თვე, კლინკერის დაფქვა წელიწადში 8 თვე. კირქვისა და კლინკერის დაფქვის დანადგარის წარმადობაა 20 ტ/სთ. 22 საათიანი სამუშაო დღით წლიური გაფრქვევები შესაბამისად ტოლი იქნება: ფილერი 52800 ტ/წელ; კლინკერი – 105600 ტ/წელ. დღეისობით კირქვისა (ფილერი) და კლინკერის დაფქვის წისქვილი არ ფუნქციონირებს და მომავალში მისი ფნქციონირება არ იგეგმება. მოხდა მისი დემონტაჟი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2010 წელს შპს „ნიკა 2004"-ს ფეროშენადნობთა ქარხანის გაფართოვება-რეკონსტრუქციაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (#45, 22.07.2010 წ.), რომელიც მდებარეობს **ქალაქი რუსთავი, მარის არხის III დასახლება, ს/კ 02.07.02.516,** საფუძველზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (#2-689, 16.08.2018 წ) ბრძანების თანახმად შპს „ნიკა 2004"-ზე 2017 წელს სამინისტროს მიერ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

№8913
24.05.2021

ზემოთ აღნიშნულ საწარმოში, როგორც უკვე აღინიშნა, მოხდა კირქვისა (ფილერი) და კლინკერის დაფქვის წისქვილის დემონტაჟი და მისი ფუნქციონირება მომავალშიც არ იგეგმება.

შპს **„ფერო ელოის ფროდაქშენ“**-ს დაგეგმილი აქვს აგლომერაციის საამქროს მოწყობა. საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ზემოთ აღნიშნულ ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე. საპროექტო ცვლილებების შესაბამისად აგლომერაციის წარმოების მაქსიმალური საპროექტო სიმძლავრე შეადგენს დღეში 135 ტონას, ხოლო წელიწადში 44550 ტონას, რომლის წარმოებისათვი მოწყობილი იქნება 15 შეცხობის 15 თეფში. საწარმოს ტერიტორია მოიცავს აგლომერაციის საწარმოს, ნედლეულის განთავსების საწარმოო მოედანს და მზა პროდუქციის დახურულ სასაწყობე მეურნეობას.

საწარმოში ასევე დაიგეგმა ინდუქციური ღუმელების მონტაჟი (ორი ღუმელი, რომლების მონაცვლეობით მუშაობენ, როცა მუშაობს ერთი, მეორე სარემონტო რეჟიმშია), რომელშიც წლიურად ნაწარმოები იქნება – 4800 ტ/წელ ნადნობი 4800 საათის განმავლობაში;

საწარმოში ასევე იგეგმება ზემოთ აღნიშნული სველი მტვერდამჭერის სისტემების (სკრუბერების) შეცვლა სახელოებიანი მტვერდამჭერი სისტემით, რომელიც ორი ღუმელისათვის იქნება ერთი და მესამე ღუმელისათვის ასევე ერთი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-5 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **“ფერო ელოის ფროდაქშენი”**-ს ფეროშენადნობებისა და აგლომერატების წარმოების ქარხნის სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

გიორგი ლერჭავა
დირექტორი